


როგორ ავუხსნათ მე-5 კლასის მოსწავლეებს ტოლი წილადები?

ვისწავლოთ ერთად

- 1 პადმამ, ტობიმ, ჰანმა და ჯეიდიმ აიღეს ფურცლები. მათ დაკვეცეს ფურცლები და გააფერადეს მისი რალაც ნაწილი.




პადმას ფურცელი გადაკვეცილი იყო ორ ტოლ ნაწილად. მან გააფერადა ერთ-ერთი ნაწილი. ანუ მან გააფერადა ფურცლის ნახევარი.




ტობის ფურცელი გადაკვეცილი იყო 6 ტოლ ნაწილად. მან გააფერადა 3 ნაწილი. მან გააფერადა ფურცლის სამი მეექვსედი ნაწილი.



ჰანის ფურცელი გადაკვეცილი იყო 8 ტოლ ნაწილად. მან გააფერადა 4 ნაწილი. მან გააფერადა ფურცლის ოთხი მერვედი ნაწილი.



ჯეიდის ფურცელი გადაკვეცილი იყო 10 ტოლ ნაწილად. მან გააფერადა 5 ნაწილი. მან გააფერადა ფურცლის ხუთი მათედი ნაწილი.



ფურცლები გადაკვეცეს სხვადასხვა წილადების მისაღებად.



-- ვხედავ, რომ $\frac{1}{2} = \frac{3}{6} = \frac{4}{8} = \frac{5}{10}$

წინა გვერდზე გაფურადებული ნაწილები ტოლია. წილადებს, რომელთაც განსხვავებული მრიცხველი და მნიშვნელი აქვს, მაგრამ ერთი და იმავე სიდიდეს გამოსახავენ, **ტოლი წილადები** ეწოდება.

$$\frac{1}{2} = \frac{3}{6} = \frac{4}{8} = \frac{5}{10} \quad \text{ეს ტოლი წილადებია.}$$

ჰანმა რალაც შენიშნა ტოლ წილადებთან დაკავშირებით.

$$\begin{array}{ccc} & \times 3 & \\ \frac{1}{2} & \xrightarrow{\quad} & \frac{3}{6} \\ & \times 3 & \end{array}$$


$$\begin{array}{ccc} & \times 5 & \\ \frac{1}{2} & \xrightarrow{\quad} & \frac{5}{10} \\ & \times 5 & \end{array}$$



მრიცხველის და მნიშვნელის ერთი და იგივე რიცხვზე გამრავლებით ვიღებთ ტოლ წილადს.

ჰანმა აღმოაჩინა, რომ როდესაც წილადის მრიცხველსა და მნიშვნელს ვამრავლებთ ერთი და იმავე რიცხვზე, შედეგად ტოლ წილადს ვიღებთ.

თავისი აღმოჩენის შესამოწმებლად ჰანი განიხილავს ტოლ წილადებს.




$$\begin{array}{ccc} & \times 2 & \\ \frac{3}{4} & \xrightarrow{\quad} & \frac{6}{8} \\ & \times 2 & \end{array}$$

$$\begin{array}{ccc} & \times 3 & \\ \frac{3}{4} & \xrightarrow{\quad} & \frac{9}{12} \\ & \times 3 & \end{array}$$

მოდელი, ვცადოთ

- 1 დააკვირდი კვადრატების გაფერადებულ ნაწილებს. მონიშნე შესაბამისი შერეული რიცხვი.



- (a) $8\frac{3}{4}$ (b) $4\frac{4}{5}$ (c) $4\frac{3}{4}$ (d) $12\frac{1}{4}$

- 2 დააკვირდი ფიგურების გაფერადებულ ნაწილებს. დაწერე შერეული რიცხვი.

